პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის ნი-ე წელი • № 103 (14707)

2 შაბათი მაისი 1970

ფასი 2 კაპ.

**გუშინ საბჭოთა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ საყოველთაო ზეიმით აღნიშნეს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე — პირველი მაისი.**

**საპირველმაისო დემონსტრაციებმა მკაფიოდ ცხადყვეს საბჭოთა ხალხის ურყევი დარაზმულობა მშობლიური კომუნისტური პარტიის — დიდი ლენინის პარტიის გარშემო.**



მოსკოვი. 1970 წლის 1 მაისი. ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე. საკდესი. (მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

## გულწრფელი მადლობა

დიდი მოაზროვნისა და რევოლუციონერის, კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს საბჭოთა კავშირის მშრომელთა, საწარმოებისა და მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების კოლექტივების მრავალი მოლოცვა და მისალმება. მოლოცვები და მისალმებანი გამოგზავნეს აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა, მემარცხენე სოციალისტურმა პარტიებმა, მთავრობებმა, სახელმწიფო მოღვაწეებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და ცალკეულმა მოქალაქეებმა.

მოლოცვებსა და მისალმებებში დიდად არის შეფასებული როლი, რომელსაც ვ. ი. ლენინი და ლენინიზმი ასრულებდნენ და ასრულებენ სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული განთავისუფლებისათვის, დემოკრატიისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ხალხთა ბრძოლის საქმეში. ეს მოლოცვები და მისალმებანი მოწმობენ, რომ ლენინის იდეებმა შეაღწია დედამიწის ყველაზე შორეულ კუთხეებში, რომ ეს იდეები უდიდეს გავლენას ახდენენ თანამედროვე მსოფლიოს განვითარებაზე. ამ მოლოცვებსა და მისალმებებში მაღალი შეფასება აქვს მიცემული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, წარმატებებს, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა კომუნისტურ მშენებლობაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოზიციას საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისათვის ბრძოლაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითად მადლობას უძღვნიან საბჭოთა კავშირის პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და დაწესებულებების კოლექტივებს, მშრომელებს, საზღვარგარეთის ქვეყნების კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიებსა და ორგანიზაციებს, მემარცხენე სოციალისტურ პარტიებს, მთავრობებს, სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ცალკეულ მოქალაქეებს მოლოცვებისათვის, მისალმებებისა და კეთილი სურვილებისათვის, რომლებიც შემოუთვალეს საბჭოთა ხალხსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის გამო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

# ლენინიზმი ჩვენი დროშაა

## საპირველმაისო მიტინგი და დემონსტრაცია წითელ მოედანზე

ჩვენს პლანეტაზე მოვიდა პირველი მაისი, ყველა კონტინენტის მშრომელი ხალხის დღესასწაული, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მშრომელთა ბრძოლის საერთაშორისო სოლიდარობის დღესასწაული. აი უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია ამ დღესასწაულის ცენტრი, მთავარი მოედანი — მოსკოვის წითელი მოედანია.

აქედან, წითელი მოედნიდან, მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი მოსკოველებთან ერთად უპატაკებს კომუნისტურ მშენებლობაში თავის გამარჯვებებს. ეს გამარჯვებები ლენინიზმის ტრიუმფი, ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის დაუცხრომელი პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის შედეგია. ასრულებენ რა პარტიის მიერ დასახულ პროგრამას, საბჭოთა ადამიანები დაუცხრომელი შრომით, გმირული მეცადინეობით გზას უკვალავენ ყველა ქვეყნის მშრომელებს ახალი სამყაროსაკენ — კომუნიზმის სამყაროსაკენ.

წითელი მოედანი სადღესასწაულოდ არის მორთული. კრემლის ძველ კედელზე მოჩანს სსრ კავშირის სახელმწიფო გერბი და მოკავშირე რესპუბლიკების გერბები. სახელმწიფო უნივერსალური მაღაზიის ფასადის ცენტრშია მარქსის, ენგელსის, ლენინის ჯგუფური პორტრეტი. გვერდით პანორამებია „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“,

„კომუნიზმი გაიმარჯვებს!“.

ისტორიული მუზეუმის ფასადზეა მძლავრი ფიგურა მედროშისა, რომელიც მიუძღვის მუშათა ლეგიონებს. აქვეა პანო, რომელიც მოუწოდებს განამტკიცონ მთელი მსოფლიოს კომუნისტთა ერთიანობა და შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე.

ახლოვდება საზეიმო წუთები. დედაქალაქის ფაბრიკა-ქარხნების, მშენებლობებისა და უმაღლესი სასწავლებლების, მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, სახელგანთქმული საბჭოთა კოსმონავტები ადიან საპატიო სტუმრების ტრიბუნებზე. აქვე არიან საზღვარგარეთელი სტუმრები, ბევრი მათგანი მონაწილეობდა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულში, დიპლომატიური კორპუსი. ზეიმს ესწრებიან სოციალისტური ქვეყნების, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის, სრულიად აფრიკის პროფკავშირთა ფედერაციის, არაბეთის პროფკავშირთა საერთაშორისო კონფედერაციის, ლათინური ამერიკის მშრომელთა პროფკავშირული ერთიანობის მუდმივი კონგრესის წარმომადგენლები. მოსკოველებთან ერთად წითელ მოედანზე პირველ მაისს ეგებება საზღვარგარეთის 90-ზე მეტი პროფკავშირული და მუშათა დელეგაცია.

წითელ მოედანზე ზღვა ხალხია. აქ არიან წარმოების ათასობით მოწინავენი, ნოვატორები, ლენინის იუბილეს აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი.

დღეს მოსკოვი, მთელი ჩვენი ქვეყანა უპატაკებს ლენინის ანდერძისადმი ერთგულებას. „ლენინიზმი ჩვენი დროშაა“, „ჩვენ ლენინიზმის ერთგულნი ვართ“, „ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს“, „წინ ლენინური გზით“ — ვკითხულობთ სადღესასწაულო ტრანსპარანტებზე.

მოედანზე გაისმის მქუხარე ხანგრძლივი ტაში. მავზოლეუმის ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, ი. ვ. კაპიტონოვი, კ. თ. კატუშევი, თ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი.

აქვე არიან საბჭოთა მხედართმთავრები, აგრეთვე კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, კუბის რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრი მაიორი რაულ კასტრო რუსი.

გაისმის მისალმებანი, შეძახილები: „დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას“!, „დიდება დიდ ლენინს“.

დილის 10 საათია. გაისმის სრულიად საკავშირო რადიოს მოხმობის ნიშანი „ვრცელია ჩემი ქვეყანა“. რეკავს მაცხოვრის კოშკის საათი.

იწყება მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო მიტინგი, რომელიც ეძღვნება საერთაშორისო დღესასწაულს — პირველ მაისს.

შეკრებილთ მიმართავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. მოედანზე შეკრებილი ათასობით ადამიანი მას მხურვალე ხანგრძლივი ოვაციით ხვდება.

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

**ძვირფასო ამხანაგებო!**

ჩვენო ძვირფასო საზღვარგარეთელო მეგობრებო!

პატივცემულო სტუმრებო!

კვლავ შევიკრიბეთ ამ მოედანზე, რათა აღვნიშნოთ მშრომელი ადამიანების მსოფლიო დღესასწაული, იმათი დღესასწაული, ვინც თავისი ხელით, გონებით, ნიჭით ქმნის და ამრავლებს საზოგადოების მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეს.

პირველი მაისის დღესასწაული — ეს არის მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის საბრძოლო დათვალიერება. ეს არის ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის, სოციალიზმის დიადი იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლაში ერთიანობისადმი მათი მისწრაფების დიადი დემონსტრაცია.

ახლანდელი პირველი მაისი აღსავსეა განსაკუთრებული აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობით. ეს ეს არის ჩვენმა ხალხმა, მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხებმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ფართოდ და ზეიმით აღნიშნეს მარქსისა და ენგელსის მოძღვრების გენიალური განმგრძობის, უდიდესი სოციალური რევოლუციის სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების ასი წლისთავი. ლენინის იუბილე გადაიქცა მსოფლიო პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენად, ლენინიზმის იდეების ნამდვილ ტრიუმფად. ამ დღეებში ყველა კონტინენტის ასეულ მილიონობით ადამიანმა ფიცი დადო, რომ ერთგული იქნება ლენინის უკვდავი საქმისა, კვლავ დაადასტურა, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იაროს ლენინური გზით მთელ მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.

ლენინის იუბილეს აღსანიშნავი შეჯიბრების დროს მილიონობით საბჭოთა მშრომელმა, მოწინავე კოლექტივებმა ბევრმა ოლქმა და რესპუბლიკამ ცხადყვეს, თუ რა უშრეტ ძალას შეიცავს ხალხის ინიციატივა, წარმოების უნარიანი ორგანიზაცია, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გაბედული გამოყენება. შრომის სოციალისტური დისციპლინა.

პატივი და დიდება ჩვენს მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, რომლებიც კომუნიზმის მშენებელთა პირველ რიგებში არიან! შრომისა და შემოქმედების დღესასწაულის ამ დღეებში უწინარეს ყოვლისა მათ, ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებულ მშრომელებს, ჩვენი მადლობა და პატივისცემა!

ამხანაგებო! პირველი მაისის წითელ დროშებზე სიტყვა „შრომა“ განუყრელად დაკავშირებულია სიტყვა „მშვიდობასთან“. საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან მშვიდობის ფასი, რადგან კარგად იციან, თუ რა არის ომი. ეს საჭიროა ითქვას დღეს, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის სახელოვანი გამარჯვების 25 წლისთავის წინ. ითქვას აქ ამ მოედანზე, საიდანაც 1941 წლის ნოემბრის სუსხიან დღეებში ფრონტზე მიდიოდნენ მოსკოვის დამცველები. ითქვას მავზოლეუმიდან, რომლის წინ ჩვენმა ჯარისკაცებმა ღირსსახსოვარ ორმოცდახუთ წელს მოიტანეს და მიწაზე დაყარეს დამარცხებული მტრის დროშები.

დღეს, ჩვენი გამარჯვების მეოთხედი საუკუნის შემდეგ, განსაკუთრებით ნათლად ჩანს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამ გამარჯვებას არა მარტო საბჭოთა კავშირისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისთვისაც. ამ გამარჯვებამ ბევრად განსაზღვრა მსოფლიო ისტორიის შემდგომი მსვლელობა, შექმნა ახალი ხელშემწყობი შესაძლებლობანი რევოლუციური ძალების სწრაფი ზრდისათვის.

კაცობრიობის მადლიერ ხსოვნაში მუდამ დარჩება საბჭოთა ხალხის დიადი გმირობა მეორე მსოფლიო ომში, მილიონობით ცნობილი და უცნობი გმირების საქმენი, რომლებმაც ხერხემალი გადაუმტვრიეს ფაშიზმს და თავისუფლება მოუტანეს ბევრი ქვეყნის ხალხებს.

განვლილ მეოთხედ საუკუნეში იშვა და განმტკიცდა მსოფლიო სოციალისტური სისტემა, რომელიც დღეს მსოფლიო განვითარების მძლავრი ფაქტორი გახდა. აღიგავა პირისაგან მიწისა კოლონიური იმპერიები, და საერთაშორისო ცხოვრებაში ჩაება ათობით ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო. კაპიტალის ქვეყნებში იზრდება და ფართოვდება მშრომელთა ბრძოლა ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის. მშვიდობისა და პროგრესის ძალები, სოციალური განახლების ძალები მტკიცდებიან და განაგრძობენ ძლევამოსილ სვლას ჩვენს პლანეტაზე!

აქედან, წითელი მოედნიდან, ძმურ საბრძოლო სალამს ვუთვლით სოციალისტური ქვეყნების ხალხებს. სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობა, თვითეულ სოციალისტურ ქვეყანაში ახალი საზოგადოებრივი წყობილების შემდგომ წარმატებათა აუცილებელი პირობაა. ეს ერთიანობა საერთაშორისო მუშათა კლასის ისტორიული მონაპოვრის, ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში გადამწყვეტი ძალის — მსოფლიო სოციალისტური სისტემის განმტკიცების საწინდარია.

აქედან, წითელი მოედნიდან, მხურვალე სალამს ვუთვლით კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, პროლეტარებს, ყველა მშრომელს, რომლებიც იბრძვიან კაპიტალისა და რეაქციის წინააღმდეგ. ჩვენ კვლავ ვუცხადებთ სოლიდარობას ვიეტნამის გმირ პატრიოტებს. არაბული ქვეყნების ხალხებს, ყველას, ვინც იარაღით იცავს თავისუფლებას და ეროვნულ დამოუკიდებლობას.

ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის საქმის ერთგულნი, ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგულნი, ჩვენი კომუნისტური პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი კვლავაც ყოველ ღონეს იხმარენ პროგრესის მთელი ძალების შეკავშირებისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ომის საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლაში.

**დაე ამ დღეს მსოფლიოში გაისმას კომუნისტური** პარტიების საბრძოლო მოწოდება „სოციალისტური ქვეყნების ხალხებო, კაპიტალის ქვეყნების პროლეტარებო და დემოკრატიულო ძალებო, განთავისუფლებულო და ჩაგრულო ხალხებო, — გაერთიანდით იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სოციალური პროგრესის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის საერთო ბრძოლაში!

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით გულითადად მივულოცო ყველა მუშას, კოლმეურნეს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, დაწესებულებათა მუშაკებს, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებს, ჩვენს პატივცემულ სტუმრებს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღესასწაული — 1 მაისი.

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს კომუნისტთა ლენინურ პარტიას!

უფრო მაღლა ასწიეთ მარქსიზმ-ლენინიზმის დროშა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა!

**ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა მოისმინეს დიდი ყურადღებით. სიტყვის წარმოთქმის დროს არაერთხელ გაისმა მქუხარე, ხანგრძლივი ტაში.**

(დასასრული მე-2 გვ.)



მოსკოვი. 1970 წლის 1 მაისი. მშრომელთა დემონსტრაცია. საკდესი. (მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

# ლენინიზმი ჩვენი დროშაა

(დასასრული)

საზეიმო მარშს იწყებენ მედროშენი. ისინი ერწყმიან მიტინგის მონაწილეთა რიგებს, ავსებენ მთელ მოედანს.

„ლენინიზმი ჩვენი დროშაა!" — წარწერილია წითელ ტილოზე. მანქანაზეა ვლადიმერ ილიას-ძის პორტრეტი.

დემონსტრანტებს მოაქვთ ლოზუნგები, რომლებზეც მრავალჯერ გამეორებულია სიტყვა „დიდება!", რაც მიმართულია შრომისა და მეცნიერების წარმომადგენლებისადმი, ხუთწლედის გმირებისადმი, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებისადმი.

„განვახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი" — ეს ლოზუნგი გამოხატავს საბჭოების ქვეყნის ყველა მშრომელთა მისწრაფებას. ამ ლოზუნგის არსს გამოხატავენ და ავსებენ ტრანსპარანტები, რომლებიც მოუწოდებენ მშრომელებს გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, გააძლიერონ სახალხო მეურნეობაში მომჭირნეობის რეჟიმი, უკეთ გამოიყენონ წარმოების რეზერვები.

კოლონებს მოაქვთ სსრ კავშირის სახელმწიფო გერბი, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკების დროშების ჩარჩოშია ჩასმული. ეროვნულ კოსტიუმებში არიან გამოწყობილნი ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე ხალხის წარმომადგენლები. ხელიხელჩაკიდებულნი მოდიან ისინი, როგორც საბჭოთა რესპუბლიკების ურღვევი მეგობრობის, ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების ცოცხალი სიმბოლო.

წითელი დროშების ჩარჩოშია ჩასმული „გამარჯვების" ორდენის გამოსახულება. ალისფერი რიგები ერთმანეთს ცვლიან და მოედანზე ქმნიან წითელ ვარსკვლავს. ჩვენს წინაშე ცოცხლდება ისტორია: ვარსკვლავის ცენტრში აღიმართება მონუმენტი განმათავისუფლებელი მეომრისა, რომელსაც ცალ ხელში დამცველის მახვილი უჭირავს, ცალით კი გულში ჩაუკრავს გოგონა—ასე დგას იგი ბრინჯაოთი და გრანიტით უკვდავყოფილი ბერლინის ტრეპტოვპარკში. მარად ასეთი ემახსოვრება მადლიერ კაცობრიობას საბჭოთა მეომარი, რომელმაც ფაშიზმისაგან იხსნა მსოფლიო.

მეოთხედი საუკუნის წინათ საბჭოთა მეომრებმა გამარჯვების დროშა აღმართეს ბერლინში და ახლა მწყობრი ნაბიჯით მოდიან და მოაქვთ ეს დროშა რაიხსტაგის შტურმის მონაწილეებს საბჭოთა კავშირის გმირებს მ. ა. ეგოროვს, მ. ვ. ქანთარიას, კ. ი. სამსონოვს. მათ მოჰყვებიან საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სხვადასხვა გვარეობის ჯარების ქვეგანაყოფები.

მოდიან არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სპორტსმენები, ლენინურ ადგილებში და რევოლუციური საბრძოლო და შრომითი დიდების გზებზე მოწყობილ ლაშქრობათა მონაწილე პიონერები და მოსწავლეები.

მწკრივების თავზე ფრიალებენ დროშები. ცენტრშია პანო: „ლენინის იდეები ცოცხლობენ და იმარჯვებენ" და ლენტებით გარშემორტყმული დედამიწის სფეროს მაკეტი. ლენტებზე სხვადასხვა ენაზე წარწერილია სიტყვა „ლენინი". იგი ძვირფასი და გასაგებია ყველა ხალხისათვის. ლენინიზმი დაეუფლა ასეულ მილიონობით ადამიანის გონებას.

დემონსტრანტებს მაღლა აღუმართავთ ლოზუნგები და გამოხატავენ დედამიწის ყველა პატიოსანი ადამიანის ნებას:

— ამერიკელო იმპერიალისტებო, წაეთრიეთ ვიეტნამიდან!

—ისრაელო აგრესორებო, წაეთრიეთ არაბეთიდან!

ჩნდება მაკეტი „სსრ კავშირი მშვიდობისა და სოციალიზმის ბურჯია". მაკეტზე აღმართულია ნამგალი და ურო. იგი მშრომელი ადამიანების ურღვევი კავშირის განსახიერებაა.

ხმაწკრიალა ნაკადულებად შემოიჭრნენ მოედანზე ბავშვები.

მთელ მოედანზე გაისმის ნორჩ ლენინელთა მისალმების სიტყვები:

— მშობლიურ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — დიდება! დიდება! დიდება!

დემონსტრაციის ყველაზე ნორჩი მონაწილენი მავზოლეუმისაკენ მიდიან. ბავშვები არბიან ცენტრალურ ტრიბუნაზე და ყვავილებს აწვდიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს.

ალისფერ ალმებს შორის ჩნდება სიტყვები: „კომუნიზმი გაიმარჯვებს". მოედანზე ისმის შეძახილები:

პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს — დიდება!

მოწინავე კოლონის მონაწილეთა მანიფესტაციის აპოთეოზად გაისმა სიმღერა „პარტია ჩვენი მესაჭეა".

იწყება მშრომელი მოსკოვის სადღესასწაულო მარში. მძლავრ ნაკადებად შემოდიან წითელ მოედანზე კოლონები. დემონსტრანტებს ხელში უჭირავთ მარქსის, ენგელსის, ლენინის პორტრეტები. მწკრივებს შორის მოჩანს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთა პორტრეტები. მანქანებს ამშვენებს ფერად-ფერადი მხატვრული პანოები „მოსკოვი — გმირი ქალაქი", „მოსკოვი უპატაკებს". შთამბეჭდავია გამარჯვებათა ციფრები:

— ლენინის იუბილეს შესახვედრად მოსკოველებმა შეასრულეს შრომის ნაყოფიერების ზრდის ხუთწლიანი დავალება;

— დედაქალაქის 300 ათასზე მეტმა მშრომელმა შეასრულა პირადი ხუთწლიანი დავალებანი.

1970 წელი ლენინის იუბილეს წელია, პარტიის მორიგი ყრილობის წელია. დაე ხუთწლედის უკანასკნელი წელი გადაიქცეს დამკვრელური მუშაობის წლად! — მოსკოველთა ამ მხურვალე მოწოდებას დღეს ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში ეხმაურებიან.

„ხუთწლედის ოთხ წელიწადში გამოშვებულია 18.199 სპეციალისტი" — წარწერილია პანოზე, რომელიც მოაქვთ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს.

მოედანზეა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის — საბჭოთა მეცნიერების შტაბის კოლონა. მოდიან ლენინური პრემიის ლაურეატები, მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მეცნიერები, მათ გვერდით კი მოაბიჯებს ახალგაზრდობა.

გადაჯვარედინებული ნამგალი და ურო დედაქალაქის უძველესი ორდენოსანი ქარხნის „სერპ ი მოლოტის" ემბლემაა. მეტალურგთა კოლექტივს მიუძღვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, პირველი მარტენის საამქროს მეფოლადე ვიქტორ ვლადიმერის-ძე კლიუევი.

ყოველი მხრიდან კარგად მოჩანს თანამედროვე ჩქაროსნული ჩარხებისა და ავტომატური ხაზების მაკეტები. ასეთ ტექნიკას უშვებს მოსკოვის ორჯონიკიძის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა.

სადღესასწაულო კოლონაში არიან თავიანთი საქმის ოსტატები ს. ნ. გლებოვი, ა. ს. ლავრენტიევი, ი. ა. იცკოვიჩი...

წითელ მოედანზე არიან დედაქალაქის ელექტრომანქანათმშენებლები — ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხნის მუშები.

ქარხანა „კრასნი პროლეტარის" მუშათა გვარდიის გზა დღევანდელი პირველი მაისისაკენ 1905 წელს დაიწყო კრასნაია პრესნიას ბარიკადებზე, გამოიარა ბრძოლები ქვის ხიდთან და ოსტოჟენკასთან 1917 წელს, გამოვიდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მაგისტრალებზე, შესანიშნავი ისტორიაა, შესანიშნავი საქმეებია.

„პროგრამული მართვის 185 ჩარხი ჩვენი საჩუქარია ბელადის იუბილესათვის" — წარწერილია ქსოვილ-პატაკზე. წლის დამლევამდე „კრასნი პროლეტარის" მუშები პირობას იძლევიან ვალდებულებათა გადამეტებით გამოუშვან 50 ჩარხი.

დემონსტრანტთა ახალი და ახალი კოლონები შემოდიან წითელ მოედანზე. და თვითეული კოლექტივი პლაკატის, ტრანსპარანტების, დიაგრამების ენით მოახსენებს ჩვენს პარტიას, საბჭოთა მთავრობას. მთელ ქვეყანას შრომით მიღწევებს, [illegible].

რამდენიმე საათს გასტანა საპირველმაისო დემონსტრაციამ წითელ მოედანზე, [illegible] ლად ცხადყო პარტიისა და ხალხის მონოლითური შეკავშირება, საბჭოთა ადამიანების ერთგულება ლენინის ანდერძისადმი.

* * *

მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის — 1 მაისის აღსანიშნავად სადღესასწაულო მიტინგები და დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე ლენინგრადში, კიევში, მინსკში, ტაშკენტში, ალმა-ატაში, თბილისში, ბაქოში, ვილნიუსში, კიშინიოვში, რიგაში, ფრუნზეში, დუშანბეში, ერევანში, აშხაბადში, ტალინში, ვლადივოსტოკში, ხაბაროვსკში, იუჟნო-სახალინსკში, ნალჩიკში, ლიპეცკში, სარატოვში, ორენბურგში, ჩერეპოვეცში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებსა და სოფლებში.

საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღეს საბჭოთა ადამიანებმა ცხადყვეს მონოლითური შეკავშირება კომუნისტური პარტიის, მშობლიური მთავრობის გარშემო, თავიანთი მტკიცე გადაწყვეტილება ახალი შრომითი მიღწევებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგ ყრილობას.

ლენინის დიადი დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი მტკიცედ მიდის წინ — კომუნიზმისაკენ. (საქდესი).



საპირველმაისო დღესასწაული მოსკოვში. 1970 წლის 1 მაისი. სურათზე: მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია წითელ მოედანზე.



მოსკოვი. 1970 წლის 1 მაისის დღესასწაული. მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია წითელ მოედანზე.

სურათზე: რეიხსტაგის იერიშის მონაწილენი. საბჭოთა კავშირის გმირებს მ. ა. ეგოროვს, მ. ვ. ქანთარიას და კ. ი. სამსონოვს მოაქვთ გამარჯვების დროშა

საკდესი. (მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

## საბჭოთა მიწა-წყალზე

ლენინგრადი. ჯერ კიდევ წინადღით ლეგენდარული სასახლის მოედანი გახვეული იყო ჭირვეული ბალტიისპირეთის გაზაფხულის ბურუსში, დღეს კი მხიარულად გამოჩნდა ლაჟვარდი ცა.

როგორც შრომისა და შემოქმედების დიდ დღესასწაულს, გაზაფხულისა და სინათლის, ყველა ქვეყნის პროლეტართა ძმობის დღესასწაულს შეხვდნენ ლენინგრადელები ლენინის საიუბილეო წლის პირველ მაისს. ლენინი — მშვიდობა — მაისი წარწერილია ტილოებზე.

ისტორიულ მოედანზე ჩაიარეს მეცნიერების მოღვაწეებმა, რომელთა შორის იყვნენ 1970 წლის ლენინური პრემიის ლაურეატები, სტუდენტმა ახალგაზრდობამ, მსოფლიოს ათობით ქვეყნის წარმომადგენლებმა, რომლებიც ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ. ჩაიარეს კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა.

კიევი. მშვენიერი და დიდებულია ამ პირველი მაისის დილას გმირი ქალაქი, უძველესი და მარად ახალგაზრდა კიევი.

ქალაქის საბჭოს შენობასთან ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. ე. შელესტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. შჩერბიცკი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. პ. ლიაშკო და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები.

დიაგრამები და ტრანსპარანტები, მეტყველი მხატვრული კომპოზიციები ასახავენ საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივების მიღწევებს. კარგად დაიწყო რა ხუთწლედის დამამთავრებელი წელი, კიევის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის რეალიზაციისა და გამოშვების ოთხი თვის გეგმა.

ქალაქის 42 კოლექტივი დაჯილდოებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს ლენინის საიუბილეო საპატიო სიგელებით. 112 ათასამდე მშრომელს მიენიჭა ლენინის საიუბილეო მედლები.

საპირველმაისო დემონსტრაციამ კიევში ახალი ძალით ცხადყო კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო უკრაინელი ხალხის მონოლითური შეკავშირება, უსაზღვრო ერთგულება ლენინის დიადი იდეალებისადმი.

ტაშკენტი. ტაშკენტის 1970 წლის გაზაფხულის ერთ-ერთი ნიშანია ახალი გზები, რომლებითაც დაიძრნენ სადღესასწაულო კოლონები უზბეკეთის დედაქალაქის ცენტრისაკენ — ლენინის მოედნისაკენ. რა ლამაზია ამ დილით ქალაქი, რომელიც ხალხთა ლენინური მეგობრობის ძალამ აღადგინა ნანგრევებიდან. ერთ-ერთი სადღესასწაულო გზა პირველი მაისის ქუჩაა. დღეს იგი თვით პირველი მაისივით ლამაზი და ახალგაზრდაა.

...თითქოს ხომალდი მიაპობდეს წაბლების, ალვებისა და ჭადრების მწვანე ზვირთებს, ისე აღმართულა ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის გასაღები პირველი მაისის წინ გადასცეს ტაშკენტელებს მოსკოველებმა. ეს ერთ-ერთი სახლია მრავალთაგან მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ანგარიშში, რომელიც უზბეკეთის დედაქალაქს აჩუქეს მოძმე რესპუბლიკებმა.

მოედანზე ჩაიარეს ფერად-ფერადმა კოლონებმა. დემონსტრანტებს მოაქვთ მარქსის, ენგელსის, ლენინის პორტრეტები, ლოზუნგები, ტრანსპარანტები, რომლებზეც წარწერილია შრომითი გამარჯვებათა პატაკები.

ტრიბუნაზე ვლადიმერ ილიას-ძის ძეგლის კვარცხლბეკთან იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. რ. რაშიდოვი, უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ს. ნასრიდინოვა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე რ. ყურბანოვი და სხვა ხელმძღვანელები.

ბაქო. ბაქოელთა საპირველმაისო კოლონებში აქვთ თავიანთი „რანგთა ტაბელი": ტრიბუნებს პირველნი ჩაუვლიან ისინი, ვინც საიუბილეო ვახტი დამკვრელური შრომით აღნიშნა.

შესრულებული მოვალეობის შეგნებით გამოვიდნენ დემონსტრაციაზე კასპიის გმირი მენავთობენი. წლის დამდეგიდან მათ გეგმის გადამეტებით ამოიღეს 12 ათას ტონამდე ნავთობი. ფართოვდება კასპიის ოქროს ფსკერზე შეტევის ფრონტი: საზღვაო ნავთობის ესტაკადების საერთო სიგრძემ 200 კილომეტრს გადააჭარბა.

პირველ მაისს დაემთხვა აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების 50 წლისთავი. თავის ნახევარი საუკუნის იუბილეს რესპუბლიკა ღირსეული შრომითი პატაკით შეხვდა. ოთხი თვის გეგმის გადაჭარბებით რეალიზებულია ათეულ მილიონობით მანეთის სამრეწველო პროდუქცია. ოპტიმალურ ვადებში დამთავრდა ბამბის თესვა.

ცენტრალურ ტრიბუნაზე იყვნენ აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ა. ალიევი, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ა. ხალილოვი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ი. იბრაგიმოვი და აზერბაიჯანის კომპარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

ერევანი. მზე და ზაფხულის სიცხე მოიტანა პირველმა მაისმა სომხეთის უძველეს მიწაწყალზე. საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის წინ რესპუბლიკის დროშაზე აკიაფდა მეორე ლენინის ორდენი — სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში საბჭოთა სომხეთის მშრომელთა დიდი წარმატებების დადასტურება.

ღირსეული საჩუქრებით შეხვდნენ მაისის დღესასწაულს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები. რესპუბლიკაში ვადამდე შესრულდა პროდუქციის რეალიზაციისა და მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების ოთხი თვის გეგმა.

ვ. ი. ლენინის სახელობის ქარხნის ელექტრომანქანათმშენებლებმა უკვე მისცეს ჩვენს ქვეყანას ასობით ზეგეგმითი ძალური ტრანსფორმატორი, გენერატორი, მოძრავი ელექტროსადგური. დიდ წარმატებებს მიაღწიეს ქიმიკოსებმა, მანქანათმშენებლებმა, მრეწველობის სამთამადნო და სხვა დარგების, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის მუშაკებმა, აგრეთვე მეცნიერებმა. ერევნის რკალურ ელექტრონულ ამჩქარებელზე ფიზიკოსებმა ჩვენს ქვეყანაში პირველად მიაღწიეს ნაწილაკთა კონის ნელა გამოყვანას.

დღეს დედაქალაქის სადღესასწაულოდ მორთულ ქუჩებში და მოედნებზე ასეულათასობით ერევნელი გამოვიდა. ბევრის მკერდს ამშვენებს ლენინის საიუბილეო მედლები.

(საქდესი).

## უსმენენ მოსკოვს

### ტელერეპორტაჟი წითელი მოედნიდან

**ბერლინი**, 1 მაისი. საქდესის კორესპონდენტი ი. მასლოვი გვატყობინებს:

თავისი სადღესასწაულო გადაცემები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტელევიზიამ დაიწყო რეპორტაჟით მოსკოვის წითელი მოედნიდან. ტელემაყურებელნი შეუნელებელი ინტერესით უყურებდნენ ტრანსლაციას წითელი მოედნიდან, ისმენდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას, რომელსაც თან ახლდა თარგმანი გერმანულ ენაზე.

ეკრანზეა საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლა. შემდეგ უჩვენეს საბჭოთა კავშირის დედაქალაქის მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაცია.

წითელი მოედნიდან პირდაპირ რეპორტაჟს გადასცემდა აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რადიო.

ადნის სააგენტომ ნიშნით „სასწრაფოა" გაავრცელა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა, რომელიც მან წითელ მოედანზე წარმოთქვა.

ამასთან აღინიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ილაპარაკა ახლანდელი პირველი მაისის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე, იმაზე, რომ ლენინის იუბილე გადაიქცა მსოფლიო-პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენად. სააგენტო ხაზს უსვამს, რომ, როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა, საბჭოთა ხალხის გამარჯვებამ ჰიტლერულ გერმანიაზე ბევრად განსაზღვრა მსოფლიო ისტორიის შემდგომი მსვლელობა, შექმნა რევოლუციური ძალების სწრაფი ზრდის ახალი ხელშემწყობი შესაძლებლობანი.

**პრაღა**, 1 მაისი. (საქდესი). პრაღელები მხოლოდ იკრიბებოდნენ სადღესასწაულო საპირველმაისო კოლონებად, როცა რადიომ და ტელევიზორებმა ჩეხოსლოვაკიაში მოიტანეს კრემლის კურანტების რეკვა, წითელი მოედნის ხმა, სადაც დაიწყო მოსკოვის მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაცია.

ზუსტად დილის რვა საათზე პრაღის დროით ჩეხოსლოვაკიის ტელევიზიამ დაიწყო პირდაპირი ტრანსლაცია საბჭოთა დედაქალაქიდან. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ტელემაყურებლებმა ნახეს, თუ რა მხურვალედ და გულითადად მიესალმნენ მოსკოვის მთავარ მოედანზე შეკრებილნი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს, როგორ ისმენდნენ ისინი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას მავზოლეუმის ტრიბუნიდან.

**ბუდაპეშტი**, 1 მაისი. (საქდესი). ადრე, ჯერ კიდევ რვა საათამდე ადგილობრივი დროით, აინთო დღეს ცისფერი ეკრანები ბუდაპეშტში. უნგრეთის ტელევიზია გადასცემდა საპირველმაისო მიტინგსა და დემონსტრაციას წითელი მოედნიდან. მავზოლეუმის ტრიბუნიდან წარმოთქმული ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა მთლიანად ითარგმნა უნგრულ ენაზე.

უნგრეთის ტელევიზიის კომენტატორმა აღნიშნა ის დიდი აღფრთოვანება, რომელიც საბჭოთა დედაქალაქის ქუჩებში სუფევს.

**სოფია**, 1 მაისი. (საქდესი). საპირველმაისო დემონსტრაციის დაწყებამდე ერთი საათით ადრე ბულგარელმა ტელემაყურებლებმა ტელევიზორით ნახეს რეპორტაჟი წითელი მოედნიდან. განსაკუთრებული ინტერესით ისმენდნენ ისინი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას, რომლითაც მიმართა მან მავზოლეუმის ტრიბუნიდან საბჭოთა კავშირის მშრომელებს. ამ საზეიმო წუთებში ბულგარელი ხალხის ფიქრები და გრძნობები ერწყმოდა საბჭოების ქვეყნის ხალხთა ფიქრებსა და გრძნობებს.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა გადასცა აგრეთვე სოფიის რადიომ.

## მთელ მსოფლიოში

### ასე აღნიშნეს პირველი მაისი

ვარშავა. ალისფერი და თეთრწითელი ალმებით, ტრანსპარანტებით, ლამაზად გაფორმებული პანოებით მორთულია ვარშავის ქუჩები და მოედნები. ყველგან დაინახავთ ვ. ი. ლენინის პორტრეტებს, ლოზუნგებს, რომლებიც ქება-დიდებას ასხამენ ლენინიზმს, პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას.

დილის 10 საათზე პარადების მოედნის მთავრობის ტრიბუნაზე ადიან პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა და სხვა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი. ვ. გომულკამ წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ხაზგასმულია, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ქვეყნების ერთიანობის განმტკიცებას, იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი მთელი ძალების სოლიდარობას. 1 მაისის დღეს, თქვა ვ. გომულკამ, სულით და გულით ვულოცავთ ჩვენს გულწრფელ მეგობარსა და მოკავშირეს, ლენინის სამშობლოს—დიდ საბჭოთა კავშირს — მთელი მსოფლიოს მშვიდობის ბურჯს. საბჭოთა ხალხთან კავშირი და მეგობრობა იყო და კვლავ არის ჩვენი მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის საფუძველი.

არტილერიის სალუტი იუწყება სადღესასწაულო დემონსტრაციის დაწყებას.

საზეიმო დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე კრაკოვში, პოზნანსა და სხვა ქალაქებში.

ულან-ბატორი. ლოზუნგით „ლენინიზმი ჩვენი დროშაა" აღნიშნავენ სახალხო მონღოლეთის მშრომელები პირველი მაისის დღესასწაულს, იუწყება მონცამეს სააგენტო.

ულან-ბატორსა და სხვა ქალაქებში გაიმართა მასობრივი დემონსტრაციები. ულან-ბატორში გამართულ დემონსტრაციას დაესწრნენ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცედენბალი და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

ფხენიანი. კორეელმა ხალხმა მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად აღნიშნა 1 მაისი—მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე. ცენტრალურ პრესაში იბეჭდება მასალები, რომლებიც ასახავენ სახალხო კორეის მშრომელთა იმ დიდ შრომით წარმატებებს, რომლებითაც ისინი ეგებებიან ამ დღესასწაულს.

ჰავანა. პირველი მაისი კუბაში წელს სამუშაო დღეა. ასე გადაწყვიტეს მშრომელებმა, რომლებიც ახლა მთელ თავიანთ ძალღონეს ახმარენ იმას, რომ უზრუნველყონ მიმდინარე სეზონში რეკორდული 10 მილიონი ტონა შაქრის წარმოება, აგრეთვე შეასრულონ ეკონომიური მშენებლობის სხვა დიდი ამოცანები.

ამ დღეს ყველგან შრომითი აღმავლობაა თავისუფლების კუნძულზე.

ტოკიო. დილაადრიან იაპონიის დედაქალაქის ათასობით მშრომელნი შეიკრიბნენ ტოკიოს ცენტრში „იოიოგის" პარკში. აქ გაიმართა საპირველმაისო მიტინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 500 ათასზე მეტმა კაცმა.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს „საპირველმაისო დეკლარაცია", რომელშიც ქვეყნის ყველა მშრომელთ მოუწოდებენ განამტკიცონ შეკავშირება ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში, იარონ მთელი მსოფლიოს მშრომელი მასების მხარდამხარ.

მიტინგის შემდეგ მონაწილეებმა დროშებითა და ტრანსპარანტებით კოლონებად გაიარეს იაპონიის დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში.

მშრომელთა საპირველმაისო მიტინგები და დემონსტრაციები გაიმართა ქვეყნის ყველა პრეფექტურაში, აგრეთვე ოკინავაზე.

მოგადიშო. ფართოდ და საზეიმოდ აღნიშნა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე სომალელმა ხალხმა. „სომალის ყველა მშრომელისადმი საპირველმაისო მიმართვაში" ნათქვამია, რომ სომალში 1 მაისს განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვინაიდან რესპუბლიკის უმაღლეს რევოლუციურ საბჭოსა და მთავრობას მტკიცედ და გულწრფელად აქვთ გადაწყვეტილი საძირკველი ჩაუყარონ ისეთი ახალი საზოგადოების მშენებლობას, რომელსაც საფუძვლად უდევს ძმობის, თანამშრომლობისა და სოლიდარობის პრინციპები, — საზოგადოებას, რომელიც ემსახურება ყველა მოქალაქეთა ინტერესებს და სადაც სამართლიანობა და აყვავება სუფევს.

ჰანოი. აქ გაიმართა 1 მაისისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. კრების მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ ვიეტნამის ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მიაღწიოს მიზანს — გაათავისუფლოს სამხრეთი, დაიცვას ჩრდილოეთი, ააშენოს მშვიდობიანი, ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და აყვავებული ვიეტნამი, შეიტანოს წვლილი ინდოჩინეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების საქმეში. რეზოლუციაში მადლობას უხდიან მოძმე სოციალისტურ ქვეყნებს, ინდოჩინეთის ხალხებს, მთელი მსოფლიოს მუშათა კლასსა და ხალხებს, მთელ პროგრესულ კაცობრიობას ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლი ვიეტნამელი ხალხისადმი მხარდაჭერისა და დიდი დახმარებისათვის.

ტუნისი. ზეიმით აღნიშნავს ყველა ქვეყნის მშრომელთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეს ტუნისელი ხალხი, რომელსაც შესაძლებლობა მიეცა პირველი მაისი ოფიციალურად ედღესასწაულა მხოლოდ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.

მთელ ტუნისში იმართება საზეიმო კრებები, ეწყობა სახალხო სეირნობანი, მსახიობებისა და თვითმოქმედების გამოსვლები. ტუნისის სპორტის სასახლეში გაიმართა 1 მაისისადმი მიძღვნილი დიდი მიტინგი. მიტინგზე, რომელიც ტუნისის მშრომელთა საერთო-სახალხო კავშირმა მოაწყო, სიტყვა წარმოთქვა პრემიერ-მინისტრმა ბ. ლადჰამმა.

პრაღა. ათეულათასობით ადამიანი შეიკრიბა დღეს პრაღის ვაცლავის მოედანზე, რომ აღენიშნა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე. დემონსტრანტთა სადღესასწაულო კოლონების თავზე ფრიალებენ დროშები, ალმები, ლოზუნგები, რომლებიც ხოტბას ასხამენ ჩეხოსლოვაკიის მშრომელ ხალხს, მის კომუნისტურ პარტიას, ყოვლისშემძლე ლენინურ მოძღვრებას, პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს. საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობას.

დილის 9 საათზე სადღესასწაულოდ მორთულ ტრიბუნაზე ადიან ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჰუსაკი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ლ. სვობოდა, ჩეხოსლოვაკიის მთავრობის თავმჯდომარე ლ. შტროუგალი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების თავმჯდომარე დ. განესი და სხვა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი.

დემონსტრანტებს სიტყვით მიმართა გ. ჰუსაკმა.

შემდეგ დაიწყო კოლონების საზეიმო სვლა. მოდიან პრაღის საწარმოების, დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები.

საპირველმაისო დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე ოსტრავაში, ბრნოში, გრადეც-კრალოვეში, პლზენსში და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სხვა ქალაქებში.

ლიმა. პერუს მშრომელებმა ფართოდ აღნიშნეს 1 მაისი. დიდი მიტინგი, რომელიც მოაწყო პერუს მშრომელთა საყოველთაო კონფედერაციამ, გაიმართა დედაქალაქის მიდამოებში, კალიაოს ნავსადგურში.

უკვე მეორე წელია პერუში 1 მაისის დღესასწაული ახალ პირობებში მიმდინარეობს. წინათ ამ დღეს პერუში ჩვეულებრივად საალყო წესები იყო ხოლმე გამოცხადებული. მშრომელთა კრებებმა და მიტინგებმა ჩაიარა ისე, რომ მთავრობას რეპრესიებისათვის არ მიუმართავს. ახლანდელმა მთავრობამ ქვეყნიდან გააძევა ყველაზე მტაცებლური ამერიკული მონოპოლია „ინტერნეშნლ პეტროლეუმ კომპანი". ხორციელდება აგრარული რეფორმა, აგრეთვე ღონისძიებანი სახალხო განათლების, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების დარგში და სხვ.

მაგრამ ბრძოლა არ დამთავრებულა. ამიტომ მშრომელები პირველ მაისს ქუჩებში გამოვიდნენ ლოზუნგებით, რომლებშიც მოითხოვენ ახალი რადიკალური ღონისძიებების განხორციელებას და უცხოეთის მონოპოლიათა ბატონობის საბოლოო ლიკვიდაციას.

ბერლინი. მეწამულისფრად მორთულა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი ბერლინი. ლოზუნგები და ტრანსპარანტები ქება-დიდებას ასხამენ ლენინური იდეების გამარჯვებას, გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობას, მოუწოდებენ მშვიდობისა და ევროპის უშიშროების განმტკიცებისაკენ.

მარქს-ენგელსის მოედანი. საპატიო ტრიბუნაზე არიან გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ულბრიხტი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწენი, სტუმრები.

საპირველმაისო დღესასწაულის მონაწილეებს სიტყვით მიმართა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა კ. ჰაგერმა. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 1 მაისი — ეს არის მშვიდობისა და სოციალიზმისათვის, ევროპის უშიშროებისათვის ბრძოლის დღესასწაული. კ. ჰაგერმა თქვა, რომ 1 მაისი მიმდინარეობს ვ. ი. ლენინის დიადი იდეების სულისკვეთებით, რომლის დაბადების 100 წლისთავი მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ აღნიშნა.

კ. ჰაგერმა ხაზი გაუსვა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხი გულდაჯერებით აშენებს სოციალისტურ საზოგადოებას საბჭოთა კავშირთან ურღვევი მეგობრობით. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა არ დაუშვას, რომ ოდესმე გერმანიის მიწა-წყლიდან კვლავ დაიწყოს ომი.

მოედანზე შემოდიან დემონსტრანტთა ლამაზად გაფორმებული კოლონები. პირველ რიგებში მოდიან წარმოების მოწინავენი და ნოვატორები. საპირველმაისო დემონსტრაციის გაფორმება სიმბოლურად გამოხატავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმატებებს.

## საქდესის განცხადება

**მიღებულია** ცნობები იმის შესახებ, რომ კამბოჯის ტერიტორიაზე შეიჭრნენ ამერიკისა და საიგონის ჯარების დიდი ქვეგანაყოფები, რომლებიც მოქმედებენ ავიაციის, არტილერიისა და ტანკების მხარდაჭერით. ამერიკისა და საიგონის ჯარების შეჭრა კამბოჯის ტერიტორიაზე დაიწყო მას შემდეგ, რაც 28 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი მოეთათბირა თავდაცვის მინისტრს, სახელმწიფო მდივანს და პრეზიდენტის თანაშემწეს ეროვნული უშიშროების საკითხებში. ამ თათბირზე, როგორც იუწყებოდნენ, განიხილეს კამბოჯის მდგომარეობა. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის თანაშემწემ დ. ჰენკინმა განუცხადა კორესპონდენტებს პენტაგონში, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საიგონის არმიას გამოუყოფენ „მრჩევლებს და გაუწევენ სხვა დახმარებასაც, რათა კამბოჯის ტერიტორიაზე სამხრეთ ვიეტნამის ჯარებმა შეასრულონ საომარი ოპერაციები".

ამრიგად, ამერიკის სამხედრო ხროვამ ჩაიდინა ახალი აგრესიული აქტი, რომელიც მოწმობს, რომ ვაშინგტონი აპირებს საომარი მოქმედება გაავრცელოს მთელ ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე. შეერთებული შტატები კვლავ უხეშად თელავენ ჟენევის 1954 წლის შეთანხმებებს, კამბოჯის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ნეიტრალურ სტატუსს, რითაც არღვევენ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს. ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის ეს ახალი აქტი მიმართულია როგორც ვიეტნამელი და ლაოსელი ხალხების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ისე ქხმერი ხალხის წინააღმდეგაც.

ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება აგრძელებს და აღრმავებს კონფლიქტს, რის შედეგადაც შეიძლება მხოლოდ გართულდეს მდგომარეობა ინდოჩინეთსა და მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

ამ დღეებში გაიმართა ინდოჩინეთის ხალხთა წარმომადგენლების თათბირი, რომელთა ერთობლივ განცხადებაში ხაზგასმული იყო, რომ კამბოჯის, ლაოსისა და სამხრეთ ვიეტნამის ხალხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი იბრძოლონ დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და ნეიტრალიტეტისათვის. ასეთია კამბოჯის, ლაოსისა და სამხრეთ ვიეტნამის ხალხთა დიდი მისწრაფება, რომელიც შეესაბამება ჟენევის თათბირის ძირითად პრინციპებს. ეჭვი არ არის, რომ ამ მიზნებს ისინი დაიცავენ მტკიცედ და თავდადებით.

საბჭოთა კავშირი ყოველთვის პატივს სცემდა და პატივს სცემს კამბოჯის ნეიტრალიტეტსა და დამოუკიდებლობას, მის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. კანონიერ შეშფოთებას იწვევს ის, რომ ამერიკის სამხედრო ხროვა და მისი მოკავშირენი ვიეტნამის წინააღმდეგ აგრესიაში ცდილობენ აცდინონ კამბოჯა მშვიდობისა და ნეიტრალიტეტის გზას, რომელიც შეესაბამება ქხმერი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, ამ ქვეყნის ტერიტორიაზეც გაავრცელონ ომი. ასეთი მოქმედების შედეგებისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად შეერთებულ შტატებს ეკისრება.



თ ბ ი ლ ი ს ი. რუსთაველის პროსპექტი. 1970 წლის 1 მაისი. მთავრობის ტრიბუნაზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# ლენინის პარტიის გზით

## თბილისის მშრომელთა საპირველმაისო დემონსტრაცია

სულ უფრო ანათებს გაზაფხულის მზე. უსაზღვროა ცის ლურჯი თაღი თბილისის თავზე. საქართველოს მიწაწყალზე მოვიდა ხალისიანი პირველი მაისი.

პირველი მაისის დღესასწაული ყოველთვის იწვევს საბჭოთა ადამიანების მხნეობასა და შემოქმედებითს შთაგონებას. მაგრამ წელს, ამ დღეებში, როცა ჩვენ ზეიმით აღვნიშნავთ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს და ვემზადებით მეორე სახელოვანი თარიღის — გერმანულ ფაშიზმზე გამარჯვების 25 წლისთავის აღსანიშნავად, რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მშრომელები განსაკუთრებულ სულიერ აღმავლობას განიცდიან.

ყველა ჩვენი გამარჯვება შემოქმედებითს შრომასა და სამშობლოს დაცვაში განასახიერებს ლენინის იდეების სიდიადესა და დამკვიდრებას. კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი ძლიერი არიან ერთგულებით ლენინის ანდერძისადმი, მისი დიადი მოძღვრებისადმი, რომელიც ჩაუქრობელი შუქით აცისკროვნებს ბრძოლისა და ახალი ცხოვრების მშენებლობის გზებს.

დიდი კმაყოფილების გრძნობით აღიქვეს საქართველოს მშრომელებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება საზეიმო სხდომაზე მოსკოვში. მასში შეჯამებულია ლენინის ანდერძის განხორციელებისათვის კომუნისტური პარტიის გიგანტური პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობისა და საბჭოთა ხალხის გმირული შრომის შედეგები.

საქართველოს ეკონომიური და კულტურული აყვავება ხალხთა ძმურ ოჯახში ვ. ი. ლენინის უკვდავი იდეების რეალური განხორციელების ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია. დღევანდელი საქართველო თავისუფალი და სუვერენული სახელმწიფო, მოწინავე სოციალისტური კულტურის მქონე აყვავებული ინდუსტრიულ-აგრარული რესპუბლიკაა.

...თბილისის ქუჩებში და პროსპექტებზე მოზღვავებულა წითელი დროშები და საყოველთაო-სახალხო ზეიმი. ცისარტყელის ყველა ფერის ათასობით ტრანსპარანტი, პანო, ალამი... პარტიისა და ხალხის ერთიანობას გამოხატავს ათასობით ადამიანის საერთო გულისძგერა.

რუსთაველის პროსპექტი. აქ არის დღესასწაულის გული. მთავრობის სახლზე ამაყად ფრიალებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ალამი. შენობის ფრონტონიდან დაგვყურებს ილიჩის ძვირფასი სახე. ახალი გმირობისათვის კომუნიზმის მშენებლობაში მოგვიწოდებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებანი.

ტრიბუნებზე არიან მრეწველობის მოწინავენი, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები.

ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, პ. ა. როდიონოვი, შ. ი. ჭანუყვაძე, მ. ა. გოგიჩაიშვილი, ნ. შ. ცხაკაია, რ. ი. ფრუიძე, ა. ნ. ინაური, შ. დ. კიკნაძე, ო. ი. ლოლაშვილი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ს. ბ. კურკოტკინი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. მ. ლელაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ზ. ბ. გელდიაშვილი, ე. მ. ჯაფარიძე, ა. მ. ლაბახუა, ვ. მ. სირაძე.

მთავრობის ტრიბუნასთან ჩამწკრივდა საპირველმაისო დემონსტრაციის მოწინავე კოლონა. კოლონის მწკრივებში ვხედავთ ძველ ბოლშევიკებს, პიჯაკის ლაცკანზე წითელი ბანტებით; ოქტომბრის რევოლუციის მონაწილეებს, იმათ, ვინც ორმოცდაათზე მეტი წლის წინათ გამოვიდა ძველი სამყაროს წინააღმდეგ საბრძოლველად; ლენინის იუბილეს აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეებს, სამრეწველო საწარმოთა, ტრანსპორტის, მშენებლობათა ნოვატორებს, სოციალისტური შრომის გმირებსა და ლენინური პრემიის ლაურეატებს, რომლებმაც სახელი გაითქვეს სამშობლოს სადიდებელი საქმეებით; საბჭოთა კავშირის გმირებს, დიდი სამამულო ომის ვეტერანებს, ყოფილ პარტიზანებს, რომელთა უმაგალითო გმირობა და ვაჟკაცობა ჩაიწერა მტრის წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლების მატიანეში; ქართული მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ქვეყნის შემდგომ პროგრესში, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილების სახელოვან წარმომადგენლებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ სიტყვით მიმართა დემონსტრაციის მონაწილეებს, საქართველოს ყველა მშრომელს.

## ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა

**ძვირფასო ამხანაგებო! მეგობრებო!**

დღეს მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი მსოფლიოს მშრომელები, მთელი პროგრესული კაცობრიობა ზეიმობენ სასიხარულო და ნათელ დღესასწაულს — 1 მაისს!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით მხურვალედ გილოცავთ, ძვირფასო თბილისელებო, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებო — მუშებო და კოლმეურნეებო, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებო, საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებო, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქისა და ამიერკავკასიის სასაზღვრო ოლქის ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო, ოფიცრებო და გენერლებო, მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!

ჩვენს მიწაწყალზე ყოველ წელიწადს მოდის გაზაფხულის დღესასწაული — 1 მაისი. ყოველ წელს მთელი მსოფლიოს პროლეტარები ამ დღეს აწყობენ თავიანთი რევოლუციური ძალების საბრძოლო დათვალიერებას. მაგრამ წლევანდელი პირველი მაისი განსაკუთრებული დღეა. ეს არის ლენინური წლის, უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოვლენათა წლის პირველი მაისი.

დღეს, ისევე როგორც ყოველთვის რევოლუციური დღესასწაულების დღეებში, ყველგან წითელი დროშები ფრიალებს.

თავისუფლების ეს წითელი დროშა ფრიალებდა მუშათა პირველ მაისობებზე. წითელი დროშით აღდგა ხალხი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისათვის. წითელი დროშა წინ უძღოდა საბჭოთა ხალხს დიდი სამამულო ომის წლებში, რომლის გამარჯვებით დამთავრების 25 წლისთავს აღვნიშნავთ ამ დღეებში. ეს დროშა აღვმართეთ დამარცხებულ ბერლინში!

ამჟამად წითელი დროშა გზას უნათებს საბჭოთა ხალხს კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში!

მთელი ჩვენი ქვეყანა პირველ მაისს ეგებება კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე მოპოვებული ახალი წარმატებებით.

წარმატებით დაიწყო მიმდინარე წელი ჩვენს რესპუბლიკაშიც. ჩაებნენ რა საიუბილეო შეჯიბრებაში, საქართველოს მშრომელებმა გამოუშვეს ბევრი ზეგეგმითი პროდუქცია, მიაღწიეს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, გახდნენ ბევრი პატრიოტული წამოწყების ინიციატორები. თბილისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის ოთხი თვის საწარმოო გეგმა.

მაგრამ მიმდინარე წელი მხოლოდ საიუბილეო წელი როდია. ეს არის ხუთწლედის დამამთავრებელი წელი. რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე დასახულია დიდმნიშვნელოვანი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანები და ეჭვი არ არის, რომ ამ ამოცანებს წარმატებით გადავჭრით. საქართველოს სახალხო მეურნეობის მუშაკები პირნათლად შეასრულებენ მთელი 1970 წლისათვის ნაკისრ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს, ვადამდე შეასრულებენ ხუთწლიანი გეგმის დავალებებს!

ღირსეულად დაამთავრებენ რა მიმდინარე სამეურნეო წელს, ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასი, ჩვენი შრომისმოყვარე კოლმეურნე გლეხობა, ჩვენი შესანიშნავი სახალხო ინტელიგენცია ამით მტკიცე საძირკველს ჩაუყრიან იმას, რომ წარმატებით იმუშაონ მომავალ წელს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის წელს, რომელიც ჩვენი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაული და რესპუბლიკის ყველა მშრომელის დღესასწაულია.

პირველი მაისის დღეს, სიჭაბუკის დღესასწაულზე, კაცობრიობის გაზაფხულისა და ბუნების განახლების დღესასწაულზე, მივესალმებით ჩვენი რესპუბლიკის ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, იმათ, ვინც თავდადებით შრომობს, ბეჯითად სწავლობს, ღირსეულად განაგრძობს უფროსი თაობის სახელოვან ტრადიციებს. სულითა და გულით გისურვებთ თქვენ, ჩვენო ახალგაზრდა მეგობრებო, ახალ წარმატებებსა და დიდ ბედნიერებას.

საქართველო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მრავალეროვანი რესპუბლიკაა და თბილისს სამართლიანად უწოდებენ მეგობრობისა და ძმობის ქალაქს. დღეს ჩვენს სადღესასწაულო კოლონებში ჩაივლიან ბევრი ეროვნების წარმომადგენლები. ეს ისინი არიან, ვინც ცხოვრობს ერთიან მეგობრულ ოჯახად, ვინც ერთად შრომობს, ერთად აშენებს და ალამაზებს თავის მშობლიურ ქალაქს — საბჭოთა საქართველოს დედაქალაქს.

დაე მარად ცოცხლობდეს და ყვაოდეს სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა — კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიდი მონაპოვარი!

საბჭოთა ხალხის მშვიდობიან, შემოქმედებითს შრომას ფხიზლად იცავენ ჩვენი მამაცი შეიარაღებული ძალები და მათ შორის — სახელოვანი ამიერკავკასიელი მეომრები, რომლებიც მტკიცედ დგანან ჩვენი დიდი სამშობლოს სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე. დღეს, პირველი მაისის დღეს, ნება მიბოძეთ ახალი წარმატებანი ვუსურვო მათ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში და რწმენა გამოვთქვა, რომ ისინი კვლავაც ფხიზლად იქნებიან, ყოველთვის მზად იქნებიან მოიგერიონ ყოველი აგრესია!

როგორც ყოველთვის საბჭოთა ხალხთან ერთად გაზაფხულის პირველი მაისის დღესასწაულს ეგებებიან მსოფლიოს ყველა კუთხის ადამიანები.

120 წელზე მეტი ხნის წინათ პირველად გაისმა ლოზუნგი, რომელიც მოუწოდებდა მთელი მსოფლიოს მშრომელებს:

— პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დღესაც ამ მოწოდებით მიმართავს მშრომელ ხალხს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი. ამ მოწოდებაში გამოხატულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის არსი, მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის არსი, ხალხთა ძმური მეგობრობის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის დაუძლეველი ძლიერების იდეა.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეით იყო გამსჭვალული ყოველი გამოსვლა ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა მოსკოვში.

მოსკოვისაკენ, ჩვენი დიადი სამშობლოს დედაქალაქისაკენ, კრემლის ყრილობათა სასახლისაკენ, სადაც დედამიწის ყველა კონტინენტის წარმომადგენლები შეიკრიბნენ, მიპყრობილი იყო მთელი მსოფლიოს მშრომელთა თვალი და გონება და ამან კვლავ ცხადყო მშრომელთა ურღვევი საერთაშორისო სოლიდარობა.

პირველი მაისის დღეს საბჭოთა ადამიანები ძმურად მიესალმებიან სოციალიზმის ქვეყნების ხალხებს, მხურვალე სოლიდარობას უცხადებენ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა მუშათა კლასს, მამაც ვიეტნამელ ხალხს, არაბული ქვეყნების ხალხებს, რომლებიც ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ იბრძვიან, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ყველა მებრძოლს!

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკაა, რეაქციისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლაში მთელი ანტიიმპერიალისტური მშვიდობისმოყვარე ძალების შეკავშირების პოლიტიკაა!

ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ გულითადად მივულოცო პირველი მაისის დემონსტრაციის მონაწილეებს, საქართველოს ყველა მშრომელთ გაზაფხულის, მშვიდობისა და შრომის დღესასწაული და ვუსურვო მათ ახალი წარმატებანი და დიდი ბედნიერება!

გაუმარჯოს 1 მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ბედნიერების ბურჯს, მშვიდობისა და პროგრესის საიმედო დასაყრდენს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც მტკიცედ მიუძღვის საბჭოთა ხალხს ლენინური გზით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

□ □ □

ამხ. ვ. პ. მჟავანაძის გამოსვლის უკანასკნელ სიტყვებს დემონსტრაციის მონაწილენი ხვდებიან მქუხარე ხანგრძლივი ტაშით. დიდებულად ჟღერს პროლეტარული ჰიმნის „ინტერნაციონალის" მელოდია.

მეწინავე კოლონამ მარშის ჰანგებზე ჩაიარა ტრიბუნების წინ.

მცირე ინტერვალი. და აი რუსთაველის პროსპექტზე აღიმართა წითელი დროშების ტყე. ტრიბუნების წინ გაზაფხულის ბაღია. თბილისელი მოსწავლეები მაღლა სწევენ აყვავებულ რტოებს. საზეიმო მარშით მოდიან მედროშენი.

კოლონებში მოჩანს გაზაფხულის ყვავილებით შემკული ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დიდებული ფიგურა, თითქოს გრანიტისაგან გამოკვეთილი. ამაყად ფრიალებს დროშა, რომელზეც წარწერილია სიტყვები, ამ სასიხარულო, მზით აღსავსე დღეს მილიონობით საბჭოთა ადამიანის გრძნობებსა და ფიქრებს რომ გამოხატავენ. „ლენინის გზით—კომუნიზმისაკენ!"

მოდის ლენინის რაიონის მუშათა და მოსამსახურეთა კოლონა. მისი გაფორმება თვალსაჩინო წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ როგორ იბრძვიან თბილისის ამ ერთ-ერთი უდიდესი სამრეწველო რაიონის მშრომელები სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, რა წარმატებებს მიაღწიეს მათ სოციალისტურ შეჯიბრებაში ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

მოაქვთ ელმავლის მაკეტი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის მუშაკები თავიანთ ტრანსპარანტებზე იუწყებიან, რომ მათ არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულეს წინასაიუბილეო ვალდებულებანი. გამოშვებულია ზეგეგმითი ლოკომოტივი, რომელსაც „ლენინელი" დაარქვეს.

შორიდან მოჩანს ლითონსაჭრელი ჩარხის მაკეტი. კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მუშები და სპეციალისტები სამშობლოს უპატაკებენ ტექნიკურ პროგრესში მიღწეულ წარმატებებს. კიროველებმა აითვისეს რამდენიმე ათეული თანამედროვე ჩარხის გამოშვება მეტალურგიული, ნავთობისა და მრეწველობის სხვა დარგებისათვის.

მოდის ამიერკავკასიის რკინიგზის მრავალათასიანი კოლექტივის წარმომადგენელთა მძლავრი კოლონა. ბევრს მკერდს უმშვენებს საიუბილეო მედალი „მამაცური შრომისათვის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად".

ტრანსპარანტები, პლაკატები, რომლებზეც წარწერილია შრომითი გამარჯვებების ციფრები, მოაქვთ პირველი მაისის რაიონის მშრომელებს. მათ შორის ვხედავთ კამვოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს" მუშებსა და მოსამსახურეებს.

დემონსტრანტთა რიგებში არიან ოქტომბრის, კალინინის, ორჯონიკიძის, კიროვის, 26 კომისრის სახელობის რაიონების მშრომელები.

ნიავი არხევს მრავალფეროვან პირამიდებს, რომლებიც დამზადებულია აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის ქსოვილებისაგან. ფართოა საწარმოს მიერ გამოშვებული ნაწარმის ასორტიმენტი. იუბილეს წინადღეებში აქ შეუდგნენ ახალი ქსოვილის „ახალგაზრდობის" წარმოებას.

თვითეულ კოლონაში არიან პიონერები, მოსწავლეები, მხიარული საბჭოთა ბავშვები. „დაე მუდამ იყოს მზე" — გაისმის სიმღერა.

დემონსტრანტთა რიგებში ვხედავთ დიდი სამამულო ომის ბევრ მონაწილეს. მზეზე ოქროსფრად კიაფობენ მათი ორდენები და მედლები — იმ მამაცობისა და გმირობის დამადასტურებელი ნიშნები, რაც საბჭოთა მეომრებმა გამოიჩინეს მოსკოვთან და სტალინგრადთან, კავკასიასა და მტრის ბუნაგში — ბერლინში ჰიტლერელ ურდოებთან ბრძოლებისა და განადგურების დაუვიწყარ დღეებში.

რუსთაველის პროსპექტის კიდით-კიდემდე გაისმის შეძახილები:

— დაე მუდამ ცოცხლობდეს ხალხის ხსოვნაში საბჭოთა მეომრების, პარტიზანების, მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის უმაგალითო გმირობა, რომლებმაც დიდ სამამულო ომში მოიპოვეს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება გერმანიის ფაშიზმზე!

— სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ღირსებისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

ფართო მაგისტრალზე შემოდიან დემონსტრანტთა ახალი კოლონები. მათ მოაქვთ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები, ლამაზი პანოები, პლაკატები, სქემები და დიაგრამები. ყოველი სიტყვა, ყოველი ციფრი მოგვითხრობს პარტიის მიერ დასახული ამოცანების, ხუთწლედის გეგმების განხორციელებისათვის მშრომელთა ბრძოლაზე.

ქარხანა „მიკროძრავის" კოლექტივი აცხადებს: პირველ კვარტალში გეგმის გადამეტებით დავამზადეთ ათასზე მეტი ვე1-ძრავი. პერმისა და სარატოვის ელექტროტექნიკური ქარხნების მუშებთან შეჯიბრებაში გაიმარჯვეს თბილისელებმა.

დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა ხუთწლედის ფონდში შეიტანეს 2.200 ათასი მანეთი და ვადამდე შეასრულეს ხუთწლედის დამლევისათვის ამ ფონდის შექმნის ნაკისრი ვალდებულება.

საქართველოს მშრომელები აღწევენ ახალ-ახალ მიჯნებს. წარმატებით დაიწყო ხუთწლედის დამამთავრებელი წელი. თბილისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ვადაზე სამი დღით ადრე შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის ოთხი თვის საწარმოო გეგმა. ლენინის საიუბილეო წლის ამ პერიოდის მანძილზე რეალიზებულია 30 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების პროდუქცია, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში.

შეჯიბრებაში მოპოვებულ მიღწევებზე შეიძლება ვიმსჯელოთ იმის მიხედვით რომ რესპუბლიკის საწარმოების, ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, ჯარის ნაწილების 227 ყველაზე თავგამოჩენილი კოლექტივი დაჯილდოვდა საკავშირო და რესპუბლიკური ლენინის საიუბილეო საპატიო სიგელებით, ხოლო 187 ათასი მოწინავე — საიუბილეო სიგელებით.

განუწყვეტელ ნაკადად მოედინება რუსთაველის პროსპექტზე მოზეიმე ხალხი. მოდის სიჭაბუკე. ორკესტრების ხმა სიმღერებს ერწყმის. მოდიან ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა ფიზკულტურელები. საყოველთაო აღფრთოვანებას იწვევს მათი მოქნილობა, შემართება, ძალღონე, მოძრაობათა ჰარმონია.

მოდიან უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური, სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო ინსტიტუტებისა და სხვა უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები.

დააკვირდით კოხტა, აკვალთულ, სიცოცხლით აღსავსე ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, შეხედეთ მათ მტკიცე ნაბიჯს. სიამაყის გრძნობას იწვევენ კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელნი. ალერსიანი, მამობრივი ღიმილით ხვდებიან ახალგაზრდობას ტრიბუნები.

უმაგალითოდ აყვავდა საქართველოში სახალხო განათლება. რესპუბლიკის 18 უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 90 ათასი სტუდენტი. ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები 225 სპეციალობის კადრებს უმზადებენ სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგს.

დემონსტრანტებს მოაქვთ პლაკატები, ლოზუნგები, ტრანსპარანტები, რომლებიც მოგვიწოდებენ აქტიურად მივიღოთ მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში ავირჩიოთ მუშების, კოლმეურნეების, საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, ასახავენ იმ შესანიშნავ გარდაქმნებს, რომლებიც საქართველოში მოხდა წინა არჩევნების შემდეგ.

ტრიბუნებზე მყოფნი გულთბილად მიესალმებიან ქართული საბჭოთა მეცნიერების წარმომადგენლებს. რესპუბლიკაში ფართოდ განვითარდა მათემატიკოსთა, **მექანიკოსთა, ფიზიკოსთა,** გეოლოგთა, ფიზიოლოგთა, ენათმეცნიერთა, ფსიქოლოგთა, აღმოსავლეთმცოდნეთა, ისტორიკოსთა მეცნიერული სკოლები. მათმა წარმატებებმა მაღალი შეფასება მიიღეს როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ.

ქართველი მეცნიერები თანმიმდევრულად ახორციელებენ ლენინის ანდერძს მეცნიერებისა და წარმოების კავშირის განმტკიცების შესახებ. მათი გამოკვლევების პრაქტიკაში დანერგვის შედეგად დაზოგილია 100 მილიონ მანეთზე მეტი.

ქართველ მეცნიერთა დამსახურების აღიარება იყო ფიზიკოსების გ. ე. ჩიქოვანისა და ვ. ნ. როინიშვილისათვის ლენინური პრემიების მინიჭება. რესპუბლიკის 20-ზე მეტი მეცნიერი საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიებისა და სამეცნიერო ასოციაციების წევრია.

დღესასწაულის მონაწილენი მხურვალედ მიესალმებიან სოციალისტური ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იბრძვიან მეგობრობისა და ერთიანობის განმტკიცებისათვის, ძმური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის. „უფრო მაღლა აღვმართოთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა"! — წარწერილია საპირველმაისო ტრანსპარანტებზე.

დემონსტრანტები გამოხატავენ თავიანთ სოლიდარობას მამაც ვიეტნამელ ხალხთან, რომელიც გმირულად იბრძვის ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის წინააღმდეგ, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

„შეწყდეს ისრაელის აგრესია ახლო აღმოსავლეთში!" — ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად მოითხოვენ თბილისელი მშრომელები. „მხარს ვუჭერთ არაბ ხალხთა ბრძოლას!"—აცხადებენ ისინი.

ქართველი ხალხი ერთსულოვნად იწონებს ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის ლენინურ საგარეო პოლიტიკას, რეაქციისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლაში მთელი ანტიიმპერიალისტური, მშვიდობისმოყვარე ძალების შეკავშირების პოლიტიკას.

პროსპექტზე გამოდიან ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის, შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივები, რომლებსაც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავთ ჩვენს მრავალეროვან საბჭოთა ხელოვნებაში. მოდიან იდეოლოგიური ფრონტის მუშაკები, ლიტერატორები, მხატვრები, კომპოზიტორები. ისინი აღსავსე არიან მისწრაფებით შექმნან ხალხის საკადრისი ნაწარმოებები, დაუცხრომლად იბრძოლონ ადამიანებს შორის კომუნისტური ურთიერთობის დამყარებისათვის, მომავლის ადამიანის აღზრდისათვის.

ქართველ საბჭოთა ინტელიგენციას ღირსეული წვლილი შეაქვს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე სოციალისტურ კულტურაში.

საპირველმაისო დემონსტრაციამ თბილისში ცხადყო, თუ რაოდენ აყვავდა საბჭოთა საქართველო, რაოდენ დიდია შემოქმედებითი ძალები ხალხისა, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიდის წინ, კომუნიზმისაკენ. (საქტაგის. კორ.).



1970 წლის 1 მაისის დღესასწაული თბილისში. დემონსტრანტთა კოლონაში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# მაისობა გუშინ ჩვენს ქალაქებში

[illegible]





## სოხუმი

[illegible]

## ბათუმი

[illegible] ...ბამ სამშობლოს მისცა ასეულ ათასობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

მომხიბვლელი სანახავია ზადღესასწაულო ბათუმი. ადრე დილიდანვე ზღვა ხალხი მოეფინა ქუჩებსა და მოედნებს, ირგვლივ ისმოდა საზეიმო მელოდიები.

## რუსთავი

[illegible]

## ცხინვალი

[illegible]

## ქუთაისი

სადღესასწაულოდ მორთო და მოიკაზმა სავარდო და სამაისო ქუთაისი.

დილის 10 საათზე დაიწყო მშრომე- [illegible]

# უგოლოდ...

**ბერლინი, 1 მაისი.** (საკდესის კორესპონდენტი ვ. კუზნეცოვი). ფრედ — 0:0 დამთავრდა სსრ კავშირის ნაკრებისა და შვეიცარიის კლუბების ნაკრების ამხანაგური მატჩი ფეხბურთში, რომელიც 30 აპრილს გვიან საღამოს გაიმართა. თამაში მიმდინარეობდა საბჭოთა ფეხბურთელების აშკარა უპირატესობით, მაგრამ გოლის გატანა მაინც ვერ შეძლეს.

ჩვენი გუნდი გამოდიოდა ასეთი [illegible] ...დია (მეორე ტაიმში — ევრიუჟიხინი).

# დღეს შვიდი მატჩია

**2 მაისი** საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის დღეა ფეხბურთში „ა" კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდებისათვის. გაიმართება შვიდი მატჩი.

ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელს თბილისის „დინამოს" ამჯერად საკუთარ მოედანზე ექნება თამაში. მისი მეტოქე იქნება ქუთაისის „ტორპედო". ინტერესს იწვევს მატჩი მოსკოვში, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან დედაქალაქის „დინამოსა" და „ტორპედოს" გუნდები. კიევის დინამოელები უმასპინძლებენ ტაშკენტის „პახტაკორს".

ოდესის „ჩერნომორეცი" ბაქოს ეწვევა და აქ პაექრობა ექნება ადგილობრივ „ნეფტჩისთან". ლენინგრადში ითამაშებენ „ზენიტი" და ვოროშილოვგრადის „ზარია". დონეცკის „შახტიორისა" და ერევნის „არარატის" მატჩი შედგება დონეცკში, ხოლო მინსკის „დინამოსა" და დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდები ითამაშებენ მინსკში.

# ორი ქულის სხვაობით

**სამი ტური** დარჩა იუგოსლავიაში საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის დამთავრებამდე. მეთოთხმეტე ტური ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი გამოდგა. საბჭოთა გროსმაისტერმა კორჩნოიმ სძლია უდოვჩიჩს, ამერიკის შეერთებული შტატების არაერთგზის ჩემპიონმა ფიშერმა მოუგო ბერტოკს, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა სმისლოვმა დაამარცხა ნიჩევსკი, ხოლო პორტმა — ბრაუნი. პარმა-გლიგორიჩის, მინიჩ-კოვაჩევიჩის, ივკოვ-ულმანისა და გიცესკუ-მაროვიჩის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ლიდერობას ინარჩუნებს გროსმაისტერი ფიშერი, რომელსაც 11,5 ქულა აქვს. კორჩნოის 9,5 ქულა აქვს, გლიგორიჩსა და პორტს — ცხრა-ცხრა ქულა, სმისლოვს — 8,5 ქულა, პეტროსიანს — 8 ქულა და 1 გადადებული პარტია.

# ბუდაპეშტსა და ლეიდენში

**ბუდაპეშტში** დასასრულს უახლოვდება მეგობრული არმიების მოჭადრაკეთა ჩემპიონატი. შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტური დარჩა. ლიდერობას ინარჩუნებს სსრ კავშირის გუნდი, რომელსაც 7 ტურის შემდეგ 18 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს. მეორე ადგილზე არიან უნგრელები — 12,5 ქულა და 3 გადადებული პარტია. ჩეხოსლოვაკიელ მოჭადრაკეებს 12 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვთ, პოლონელებს — 9,5 ქულა და 3 გადადებული პარტია.

ოთხთა ტურნირს ჭადრაკში, რომელიც ლეიდენში მიმდინარეობს, ფინიში აქვს. მერვე ტურში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ბოტვინიკი უპირატესობას ინარჩუნებს ლარსენთან გადადებულ პარტიაში, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონი სპასკი — დონერთან გადადებულ პარტიაში. ლარსენმა განაცხადა, რომ მას ამ პარტიის ყაიმით დამთავრების იმედი აქვს. ლიდერობას კვლავ სპასკი ინარჩუნებს. მას 4,5 ქულა აქვს.

# სპორტული მაისი

**როგორც** ყოველთვის მაისი მრავალმხრივი და მიმზიდველია სპორტული კალენდრით. საკმარისია აღინიშნოს, რომ გაზაფხულის ამ თვეში გაიმართება 20 საკავშირო შეჯიბრება სპორტის 16 სახეობაში და ასზე მეტი საერთაშორისო ასპარეზობა. მათ შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ვაჟთა გუნდების მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთსა და მოტოსპორტში, ევროპის პირველობა ძიუ-დოში, ჭადრაკში (გუნდური), მოტოსპორტში, აგრეთვე ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მატჩები კალათბურთსა და ფრენბურთში.

გაზეთ „პრავდის" კროსის ფინალური ასპარეზობა შედგება მოსკოვში 9 მაისს. 7-დან 11 მაისამდე ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშებაში მონაწილე ხელბურთელ ვაჟთა გუნდებს პაექრობა ექნებათ ზაპოროჟიეში. სსრ კავშირის თასის გათამაშება თანამედროვე ხუთჭიდში შედგება ნალჩიკში 9-დან 13 მაისამდე. მსოფლიო პირველობის გათამაშება კალათბურთში მოეწყობა იუგოსლავიაში 11-დან 25 მაისამდე. 27-დან 30 მაისამდე თბილისში გაიმართება საერთაშორისო შეჯიბრება წყალბურთში, 31 მაისს კი მეხიკოში სტარტს აიღებს მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში.

„კომუნისტი" სპორტი

# რ. ნიქსონის განცხადება

**ვაშინგტონი, 1 მაისი.** (საკდესი). გუშინ რადიოთი და ტელევიზიით გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი. როგორც მან განაცხადა თავის გამოსვლაში, ამერიკის ჯარებს ებრძანათ შევიდნენ კამბოჯის ტერიტორიაზე და საიგონის ჯარებთან ერთად განახორციელონ ერთობლივი ოპერაციები.

თეთრ სახლში გამოაცხადეს, რომ შეტევა დაიწყო გუშინ საღამოს 7 საათზე ვაშინგტონის დროით. სვაირიენგის პროვინციაში. ამერიკა-საიგონის ჯარები შეიჭრნენ კამბოჯის ტერიტორიაზე 20 მილ მანძილზე და განაგრძობდნენ შეტევას. ოპერაციებში მონაწილეობენ რამდენიმე ათასი ამერიკელი ჯარისკაცი და ოფიცერი და საიგონის არმიის ნაწილები.

ამ მოქმედების გასამართლებლად, რომელიც უხეშად თელავს კამბოჯის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დაიმოწმა საფრთხე, რომელიც თითქოს კამბოჯის ტერიტორიიდან ემუქრებოდეს „სამხრეთ ვიეტნამში მყოფი ამერიკელი ჯარისკაცების სიცოცხლეს".

იგი ამტკიცებდა აგრეთვე, რომ ეს ოპერაცია აუცილებელია „ვიეტნამიზაციის პროგრამის" განსახორციელებლად. ესე იგი ვიეტნამის ომის განსაგრძობად.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი იძულებული იყო თავის გამოსვლაში ეღიარებინა, რომ ამერიკაში პოპულარული არ არის ინდოჩინეთის ომის გაფართოება, და განაცხადა, რომ მას სხვებზე ცუდად როდი წარმოუდგენია „ამ აქციის პოლიტიკური შედეგები". ამასთანავე, შეეცადა რა გაეფანტა ამერიკელთა სულ უფრო მზარდი შეშფოთება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ომის ესკალაციის გამო, ნიქსონმა თქვა, დაუშვებელია ამერიკის შეერთებული შტატების „დამარცხება" და „დამცირებაო".

თუმცა ნიქსონმა თქვა, რომ „მზად არის მშვიდობიანი მოლაპარაკებისათვის, მისი გადაწყვეტილება, გაავრცელონ ომი კამბოჯაზე, ნიშნავს, რომ ვაშინგტონი კვლავ ამყარებს იმედს ვიეტნამის კონფლიქტის ომის გზით გადაწყვეტაზე, ვითარების შემდგომ გართულებაზე ინდოჩინეთსა და მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

# განიარაღების კომიტეტში

**ჟენევა, 30 აპრილი.** (საკდესი). დღეს მუშაობა დაამთავრა განიარაღების კომიტეტის მორიგმა სესიამ.

საბოლოო სხდომაზე კომიტეტის თანათავმჯდომარემ, სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ა. როშჩინმა შეაჯამა დისკუსია სამ ძირითად საკითხზე: ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის სრული აკრძალვა; ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე და მის წიაღში ატომური იარაღის და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის განლაგების აკრძალვის ხელშეკრულების პროექტი; საყოველთაო და სრული განიარაღება.

სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის წარმომადგენლები.

კომიტეტი მუშაობას განაახლებს 16 ივნისს.

# გასამართლება ესპანეთში

**ბრიუსელი, 1 მაისი.** (საკდესი). ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრი ორასიო ფერნანდეს ინგუანსო გუშინ წარსდგა მადრიდის ტრიბუნალის წინაშე. პროკურორი მოითხოვს ასტურიის პროლეტარიატის ხელმძღვანელს მიუსაჯონ 19 წლის პატიმრობა, წერს გაზეთი „ინფორმასიონ ესპანიოლა", რომელიც ბელგიაში გამოდის.

ინგუანსომ მთელი სიცოცხლე ბრძოლაში გაატარა. თავისი 58 წლიდან ესპანელმა რევოლუციონერმა 15 ესპანეთის ყველაზე საშინელი საპატიმროს ბურგოსის დილეგებში გაატარა. იგი სამჯერ იყო დაპატიმრებული. ახლა ესპანეთის საიდუმლო პოლიციის აგენტებმა მეოთხედ დააპატიმრეს.

# ახალი პროვოკაცია

**ფხენიანი, 30 აპრილი.** (საკდესი). როგორც კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო იუწყება, ამერიკის მხედრიონმა უხეშად დაარღვია შეთანხმება კორეაში დაზავების შესახებ და დემილიტარიზებული ზონის რაიონში გადაიტანა დიდძალი მძიმე ქვემეხები. 29 აპრილს ამ ქვემეხებით 10 ათასჯერ და მეტჯერ დაუშინეს ცეცხლი კორეის სახალხო არმიის საგუშაგოებს.

# გრიგალი ოკლაჰომაში

**ნიუ-იორკი, 1 მაისი.** (საკდესი). 41 კაცი დაშავდა ძლიერი გრიგალის დროს, რომელიც გუშინ ამოვარდა ამერიკის ქალაქ ოკლაჰომა-სიტიში; კოკისპირული წვიმების შედეგად ქალაქის ქუჩები წყლით დაიფარა. ქარი გლეჯდა სახლების სახურავებს, აყირავებდა ავტომობილებს.

ქალაქის დიდ ნაწილს აღარა აქვს ელექტრობა, გაზი და სატელეფონო კავშირი. ქუჩები მოფანტულია ჩამტვრეული ფანჯრების მინის ნამსხვრევებით.

მსოფლიო დღეს



პირველი მაისი... ჩახჩახა მზე დაჰნათის საქართველოს მთაბარს. ზეიმობს დიდი და პატარა... სიხარული დაუფლებია ყველას. მოდის ახალგაზრდობა, მოდიან შრომაში გამარჯვებული ადამიანები...

პირველი მაისი... მშვიდობა, შრომა.

●

სურათზე: თბილისის მშრომელთა დემონსტრაცია.

• • •

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

# ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი

## რადიო

**8 მაისი**

**პირველი პროგრამით**

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ვ. დოლიძე. სიმფონიური ფანტაზია „ივერიადა". 08.30 — საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის საესტრადო ორკესტრის კონცერტი, 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 11.00 — „პიონერთა დაფიონი" (მოსკოვი), 11.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.05 — მუსიკალური რადიოაფიშა, 12.30 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი", 13.00 — ახალგაზრდა მუსიკოსშემსრულებელთა კონცერტი, 14.00 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „ლიუბოვ შევცოვა", 14.45 — მღერის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ორერა", 15.00 — „მეგობრობის კონცერტი". ტრანსლაცია ერევნიდან, 15.30 — ვლ. თორდუას მოთხრობები, 16.15 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. „საბჭოთა სამხედრო სიმღერების ისტორიიდან", 17.10 — გ. ყანჩელი. მუსიკა კინოფილმებიდან, 17.30 — ნარკვევი. „მფრინავის გმირობა", 17.45 — გ. სვირიდოვი. სიმღერები რ. ბერნსის ტექსტებზე, 18.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 19.00 — „რა დაგვავიწყებს იმ გმირულ დღეებს!" — გვესაუბრებიან დიდი სამამულო ომის მონაწილე ქართველი მწერლები, 21.15 — გ. ტაბიძე. „მშვიდობის წიგნი". რადიოკომპოზიცია, 22.00 — ბ. კვერნაძე. სავიოლინო კონცერტი, 22.50 — დ. შოსტაკოვიჩი. ფრაგმენტები მესამე საბალეტო სიუიტიდან, 23.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 23.30 — ლ. ივანოვას კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

## ტელევიზია

● **შაბათი, 2 მაისი**

10.35 — „მაისის მოსკოვი" — მუსიკალური პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.35 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი. 12.05 — „ქალაქების მუსიკალური ტურნირი" — (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.15 — ქართული მხატვრული ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა", 14.45 — „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!" თიანეთის რაიონი (26 აპრილის გადაცემის გამეორება), 14.45 — კინოპროგრამა, 16.20 — ბავშვებისათვის — „მუსიკალური ვიქტორინა", 16.50 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა. სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „ორერა", სრული სვლით", 18.00 — ცენტრალური ფერადი ტელევიზია, ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ტორპედო" მოსკოვი — „დინამო" მოსკოვი. II ტაიმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.45 — იუმორისტული მოთხრობა — „ჭორი", 19.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო" თბილისი — „ტორპედო" ქუთაისი, 20.45 — ლიტერატურული გადაცემა — „სამაისო", 21.10 — „მსოფლიო დღეს", 21.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი — „ქვევრი". პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები), 22.10 — გადაცემა ციკლიდან „ქართული მუსიკის საღამო" — კომპოზიტორი არჩილ ჩიმაკაძე.

● **კვირა, 3 მაისი**

09.30 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 10.00 — ლექცია ფიზიკაში, 10.30 — ბავშვებისათვის — „მალვიძარა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — კინოპროგრამა, 11.30 — ქართული მხატვრული ფილმი „მაცი ხვიტია", 13.00 — ცენტრალური ფერადი ტელევიზია. პროგრამა ბავშვებისათვის „ცხოველთა სამყაროში", 14.00 — გადაცემა ციკლიდან „მსოფლიოს სტადიონებზე". დოკუმენტური ფილმი ფინალური მატჩისა ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე 1968 წ. „მანჩესტერ იუნაიტედ" ინგლისი — „ბენფიკა" პორტუგალია", 17.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.05 — „კინოაფიშა", 18.50 — კონცერტი ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით, 19.50 — „კინომოგზაურთა კლუბი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.50 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 — კინონარკვევი, 21.20 — სატელევიზიო ჟურნალი — „კინოეკრანი", 22.40 — პროგრამა მეორე დღისათვის, 22.45 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა — „ცამეტი სკამი". მინიატიურების სატელევიზიო თეატრი (გადმოცემა მოსკოვიდან).

● **ორშაბათი, 4 მაისი**

10.05 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა — „მოდი, ზღაპარო" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე" — 1941 წელი (ქართულ ენაზე), 12.35 — მხატვრული ფილმი „კოლონია ლანფიერი", 18.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.15 — კინონარკვევი, 18.25 — განცხადებები, 18.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა. 1. ნახატი ფილმები ბავშვებისათვის; 2. „პალიტრა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30 — მოამბე — „საინფორმაციო პროგრამა, 19.55 — მრავალსერიიანი პოლონური სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია". პირველი სერია (ქართულ ენაზე), 20.50 — კინონარკვევი, 21.00 — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან არსებული სახალხო თეატრის სპექტაკლი „ახალგაზრდა გვარდია".

● **სამშაბათი, 5 მაისი**

11.05 — სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე" — 1942 წელი (ქართულ ენაზე), 12.00 — ბულგარული მხატვრული ფილმი „ქმრები მივლინებაში", 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — განცხადებები, 18.35 — კონცერტი ბავშვებისათვის, 19.05 — კინონარკვევი, 19.15 — „მშობელთა ტელეუნივერსიტეტი", 19.35 — მრავალსერიიანი პოლონური მხატვრული ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია". მეორე სერია (ქართულ ენაზე), 20.25 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — „სატელევიზიო დარბაზი".

● **ოთხშაბათი, 6 მაისი**

11.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში, 11.30 — ლექცია ფიზიკაში, 12.00 — სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე" — 1943 წელი (ქართულ ენაზე), 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — კინონარკვევი, 18.15 — განცხადებები, 18.20 — გადაცემა ბავშვებისათვის — „გაბედული ფოტომონადირე", 18.35 — გადაცემა „სევერიან ისიანი", 18.55 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა „გლობუსი", 19.55 — მრავალსერიიანი პოლონური სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია". მესამე და მეოთხე სერია (ქართულ ენაზე), 21.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.10 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის — „ცისფერ ეკრანზე", 23.55 — ფინალური შეხვედრა ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე: „ფეიენოორდი" ჰოლანდია — „სელტიკი" შოტლანდია (გადმოცემა იტალიიდან).

● **ხუთშაბათი, 7 მაისი**

18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — „მომარაგება-გასაღების შემდგომი გაუმჯობესებისათვის", 18.30 — სატელევიზიო ნარკვევი „ომგადახდილი, 19.00 — რადიოს დღისადმი მიძღვნილი კონცერტის ტრანსლაცია, 20.00 — ლიტერატურული გადაცემა „რაც დავიწყებით არ იბინდება"..., 20.50 — კინონარკვევი, 21.00 — მრავალსერიიანი პოლონური სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია". მეხუთე სერია (ქართულ ენაზე), 21.50 — მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.15 — „ჩვენ ტალანტებს ვეძებთ".

● **პარასკევი, 8 მაისი**

10.05 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 10.35 — ლექცია ქართულ ენაში, 11.05 — სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე" — 1944 წელი (ქართულ ენაზე), 12.05 — მხატვრული ფილმი „უცნობი ქალი", 17.50 — ახალი ამბები, 17.55 — გამარჯვების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოს ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან და ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრიდან. შესვენების დროს — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.00 — მანევრები „დვინა" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმის პრემიერა (გადმოცემა მოსკოვიდან).

● **შაბათი, 9 მაისი**

11.05 — სატელევიზიო მრავალსერიიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე" — 1945 წელი (ქართულ ენაზე), 12.05 — ქართული მხატვრული ფილმი „ჯარისკაცის მამა", 13.35 — გადაცემა „თბილისის მუსიკალური ცხოვრება სამამულო ომის წლებში", 14.25 — „საესტრადო პანორამა", 17.45 — ახალი ამბები, 17.50 — გადაცემა ბავშვებისათვის — „უკვდავება", 18.20 — სტუდიაში — გენერალ-პოლკოვნიკი ს. კურკოტკინი, 18.35 — გადაცემა ციკლიდან „ისინი ჩვენი ბედნიერებისათვის იბრძოდნენ, 19.00 — „სამამულო ომის თემა ქართულ კინოში", 19.50 — „იდუმალის წუთი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.10 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.35 — მრავალსერიიანი პოლონური სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია". მეექვსე სერია (ქართულ ენაზე).

## თეატრები

**2 მაისი**

**რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — მზიანი ღამე (დღისით), გვადი ბიგვა (საღამოს); **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — სამანიშვილის დედინაცვალი (დღისით), ვახშმობის წინ (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ორი ბატონის მსახური (დღისით), მთვარის მოტაცება (საღამოს), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — გაბზარული ფირფიტა (დღისით), სიმღერა თბილისზე (საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — სკაპენის ოინები № 11 აბონ. 11 ს. 30 წ., ძია ელიოზი (№ 16 აბონ. 5 ს. და 30 წ.)

**3 მაისი**

**რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — გვადი ბიგვა (დღისით), მზიანი ღამე (საღამოს); **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — ვახშმობის წინ (დღისით), სამანიშვილის დედინაცვალი (საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — მთვარის მოტაცება (დღისით), ფეოლა (საღამოს), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — სიმღერა თბილისზე (დღისით), კურკას ქორწილი (საღამოს); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ნაცარქექია (№ 54. აბონ. 11 ს. 30 წ.), დივიზია № 16 (№ 63 აბონ. 6 ს.).

## კინო

**2 და 3 მაისს**

ამირანი (საზამთრო), საქართველო (წითელი დარბაზი), გაზაფხული, სპარტაკი, კოლხიდა (საზამთრო), სპორტი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, ბათუმი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — **ფილატელისტის სიკვდილი**; ოქტომბერი — **ფიქრი ბრიტანკაზე**; საქართველო (მწვანე დარბაზი), ისანი (საზამთრო), ნაკადული, ვარძია, გორკის სახელობის კულტურის სახლი — **ეს წამი**, ისანი (საზაფხულო), პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი — **მაკედონური ქორწილი**; 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — **მსახურობდა ორი ამხანაგი**; 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), თანამგზავრი — **არ დაიდარდო** (ქართული ვარიანტი), ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — **უდაბნოს თეთრი მზე**; 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — **არახჩინიანი ანგელოზი**; კოლმეურნე — **წითელი ქვიშა**; კოლხიდა (საზაფხულო), ეკრანი — **ილაპარაკონ**; კომკავშირელი — **საბჭოთა კავშირის ელჩი**;

გაზეთ „კომუნისტის" შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 5 მაისს.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

„კომუნისტი" თბილისი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეებს — 99-93-03, 99-08-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, ხამდივნისა — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-28-54. ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 შ 08179.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.